საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/2733
22/07/2025

2733-08-2-202507221211

შპს „ენჯემსი“-ს დირექტორს
ბატონ დუკა ჭიქაშუას

ქ.ბათუმი, გონიოს დასახლება, ანდრია პირველწოდებულის გზატკ. N20
ტელ:599 876235

ბატონო დუკა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ანგარიშგება, საქართველოს ეროვნული ბანკის NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით, საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ,,NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის N69/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით, რაც თქვენ მიერ არ შესრულებულა.

გევალებათ, წერილის მიღებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოთ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მომავალში მკაცრად დაიცვათ ანგარიშგების წარმოდგენის ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი თქვენ მიმართ გამოიყენებს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

პატივისცემით,

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge